დუშეთის მაცნე

№1 (116)
26 თებერვალი
2024 წელი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერიოდული საინფორმაციო ბიულეტენი, ვრცელდება უფასოდ

პრემიერ-მინისტრი პატრიარქს ესტუმრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს საპატრიარქოში ესტუმრა. პატრიარქმა და პრემიერ-მინისტრმა ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაზე ისაუბრეს. პატრიარქმა ირაკლი კობახიძეს თანამდებობაზე დანიშვნა კიდევ ერთხელ მიულოცა.

წყარო - საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი

150 000-ზე მეტ პენსიონერს სესხის პროცენტი შეუმცირდება

3

საკრებულომ მორიგ სხდომაზე 7 საკითხი განიხილა

დუშეთში დიალიზის სერვისი ამოქმედდა

3

სასკოლო-სპორტული ოლიმპიადის რეგიონული ტურნირი ფრენბურთში

4

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე: „მიზნად გვაქვს დასახული რეგიონალურ მშვიდობაში, სტაბილურობასა და დემოკრატიულ პროგრესში წვლილის შეტანა და თანამშრომლობა"

„დიდი მადლობა! მოგესალმებით, ევროკავშირის უმაღლესო წარმომადგენელო და ევროკომისარო! დიდი მადლობა ბრიუსელსა და ევროკავშირში ჩვენი მასპინძლობისთვის.

დღეს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს სხდომაზე მნიშვნელოვანი საეტაპო მოვლენა იქნა მიღწეული ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში და კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმ ისტორიულ მიღწევას, რაც საქართველოს მიერ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღებას გულისხმობს.

ჩემთვის დიდი პატივია საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელობა პრემიერ-მინისტრის რანგში. დღევანდელი შეხვედრა არის მნიშვნელოვანი გზაჯვარედინი ჩვენი პარტნიორობის გზაზე.

მზარდი სტრატეგიული ურთიერთობა ევროკავშირთან დიდი მნიშვნელობისაა საქართველოსთვის და იმ ნაკისრი ვალდებულებისთვის, რომელიც ევროპულ თანამეგობრობაში ევროპულ დემოკრატიებთან გაწევრიანებას, საერთო ფასეულობებისა და პრინციპების მიღებას გულისხმობს.

დღევანდელი სხდომის ფარგლებში განხილული წინსვლა გამოწვევებით სავსე ვითარებაში ხდებოდა და ყველა წინგადადგმული ნაბიჯი დიდი შრომის შედეგად იქნა მიღწეული. ჩვენ ვრჩებით ამ პროცესის ერთგულნი და არ ვეძებთ მოკლე გზებს დასახული მიზნის მისაღწევად.

დღევანდელმა ასოცირების საბჭოს სხდომამ კარგი შესაძლებლობა მოგვცა საქართველოს მიერ მიღწეული წინსვლის და ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის განსახილველად. მიგვაჩნია, რომ საქართველომ აჩვენა უძლიერესი ნება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისადმი და მზად ვართ, იმავე ტემპითა და სულისკვეთებით ვიმუშაოთ მომავალშიც.

ამ რწმენით შევიმუშავეთ და დავიწყეთ სამოქმედო გეგმის განხორციელება, რათა ევროკომისიის 2023 წლის ნოემბრით დათარიღებულ კომუნიკეში განსაზღვრული ძირითადი ნაბიჯები გადავდგათ ევროპული საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილების დადგომამდე.

დღეს კვლავ ვადასტურებ საქართველოს მთავრობის ერთგულებას ევროკომისიასა და სხვა ევროპულ უწყებებში ჩვენს კოლეგებთან მჭიდრო კოორდინაციის შენარჩუნებისადმი ყველა იმ საკვანძო საკითხზე, რომლებიც დღის წესრიგშია გაწერილი, რათა წინ წავიწიოთ შემდეგ ეტაპებზე გადასასვლელად.

უახლოესი მომავლისთვის ჩვენი მიზანია ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მოლაპარაკებების დაწყება. საბჭოს სხდომაზე განვიხილეთ საქართველოს ეკონომიკური შედეგები და ევროპის ერთიან ბაზარზე ინტეგრაციის პერსპექტივები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის პრინციპების საფუძველზე.

ძირითადი რეფორმების განხორციელების შედეგად საქართველომ შესანიშნავი შედეგები იქონია პანდემიიდან გამოსვლისა და ეკონომიკის სწრაფი აღდგენის სახით. ჩვენი ორნიშნა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით ზედიზედ ორი წლის - 2021 და 2022 - განმავლობაში შევინარჩუნეთ ეს მზარდი ტენდენცია 2023 წელსაც და პანდემიამდელ ტრაექტორიას დავუბრუნდით.

ვრჩებით წარმატებული რეფორმების განხორციელების იდეის ერთგულნი და ვაძლიერებთ ჩვენი ეკონომიკის მედეგობას. ამავდროულად ვზრდით ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლას, რაც ასე მნიშვნელოვანია ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციისთვის. ამ კონტექსტში მივესალმებით ევროკომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობას პრიორიტეტული ქმედებების სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით, რაც მოგვცემს საშუალებას, სრულად ვისარგებლოთ ევროკავშირთან სრული ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად.

საქართველო რჩება ევროკავშირის სანდო მოკავშირედ და პარტნიორად იმ რეგიონში, რომელსაც მნიშვნელოვანი გამოწვევები გააჩნია. მიზნად გვაქვს დასახული რეგიონალურ მშვიდობაში, სტაბილურობასა და დემოკრატიულ პროგრესში წვლილის შეტანა და თანამშრომლობა. გავაგრძელებთ ევროკავშირში ჩვენს პარტნიორებთან მჭიდრო კავშირს ამ პროცესის ფარგლებში და უკვე განვიხილეთ მსხვილი ეკონომიკური და დაკავშირებადობის უნარის გამზრდელი პროექტები, რაც ხელშესახებ შედეგებს მოუტანს ჩვენს რეგიონსა და ევროპას.

დღევანდელი სხდომის ფარგლებში მივესალმეთ ევროკომისიის ძალისხმევას ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმის ფარგლებში. განვიხილეთ ასევე რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზები და მიმდინარე ოკუპაციის შედეგები. ამ კონტექსტში მსურს, კვლავ გამოვხატო მადლიერება ევროპის ურყევი მხარდაჭერისთვის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. მადლობას ვიხდით ფასეული დახმარებისთვის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში კონკრეტული ინსტრუმენტების გამოყენებით.

ამ ინსტრუმენტების გამოყენება არის ადგილზე მშვიდობის შენარჩუნების ძლიერი გარანტია. დარწმუნებული ვარ, რომ მშვიდობა მოგვცემს საშუალებას მეტი სტაბილურობა და წინსვლა უზრუნველვყოთ საქართველოსა და მთელ რეგიონში, კოლექტიური მიზნების მისაღწევად ევროპის კეთილდღეობის ნაწილში. დიდი მადლობა!"

20. 02. 2024 წ.
წყარო - საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი

150 000-ზე მეტ პენსიონერს სესხის პროცენტი შეუმცირდება

ეს გადაწყვეტილება მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე მიიღეს, სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნათია თურნავას და „ლიბერთი ბანკის" გენერალურ დირექტორს ბექა გოგიჩაიშვილს შეხვდა.

ამ გადაწყვეტილებით 150 000-ზე მეტ პენსიონერს, რომლებმაც სესხი აიღეს 2023 წლამდე, სესხის პროცენტი შეუმცირდება და გაუტოლდება იმ პროცენტს, რომელიც დაწესებულია 2023 წლიდან.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა, რომ აღსრულების ნაწილსა და კონკრეტულ დეტალებზე „ლიბერთი ბანკი" ეროვნულ ბანკთან ერთად გააგრძელებს მუშაობას.

საკითხის განხილვისას მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია დროულად დაიწყოს შემდეგი ეტაპი და პენსიონერებმა განახლებული პირობებით შეძლონ სარგებლობა.

22. 02. 2024 წ.
წყარო - საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი

ბაზალეთის სივრცითი დაგეგმარებისთვის

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდის ინფორმაციით, ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებისა და მიმდებარე ტერიტორიის სივრცის დაგეგმარების პირველი ეტაპი - კვლევითი სამუშაოები - დასრულდა.

მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ შეხვედრაზე საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელმა დაინტერესებულ მხარეებს შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით ინფორმაცია წარუდგინა.

შეხვედრას ესწრებოდნენ: სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსი იოანე მენაბდე, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი მანანა ნარიმანიძე, საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ ჩიტაური და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

სივრცითი დაგეგმარება მუნიციპალიტეტის მდგრად განვითარებას ისახავს მიზნად.

საკრებულომ მორიგ სხდომაზე 7 საკითხი განიხილა

23 თებერვალს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ ჩიტაური უძღვებოდა. ხმათა უმრავლესობით მიიღეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 7 საკითხი, კერძოდ:

1. „დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების თაობაზე“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის № 28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

3. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისთვის (საქსტატი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასაცემად დუშეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2024 წელს დუშეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ;

5. დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის და კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობის განსაზღვრისა და მისი ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ;

6. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასაცემად დუშეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

7. დუშეთის მუნიციპალიტეტის ფასანაურის ადმინისტრაციული ერთეულის დაბა ფასანაურში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ.

დუშეთში დიალიზის სერვისი ამოქმედდა

საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებგვერდის ინფორმაციით, წალენჯიხაში, საგარეჯოში, დუშეთში, ახალქალაქში, ყვარელში, ტყიბულში, სენაკში, მარტვილში, ხულოსა და ჭიათურაში დიალიზის სერვისი ამოქმედდა.

ქვეყნის მასშტაბით, წელს დიალიზის 10 სერვისცენტრი გაიხსნა. ცვლილებების შედეგად, მომსახურებაზე კიდევ უფრო გაიზარდა ხელმისაწვდომობა, შესაბამისად, ბენეფიციარები, სერვისს მათსავე ქალაქში, საცხოვრებელ სახლებთან ახლოს მიიღებენ.

სამედიცინო დაწესებულებები დიალიზისთვის საჭირო აპარატურით სრულად აღიჭურვა. ჰემოდიალიზის საჭიროების მქონე პირებს სათანადოდ გადამზადებული მედპერსონალი ყოველდღიურად მოემსახურება. დიალიზის ახალი ცენტრები, სამინისტროს ჩართულობით, კერძო სექტორთან თანამშრომლობის შედეგად მოეწყო.

აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან მანამდე ბენეფიციარებს პროცედურის ჩასატარებლად, კვირაში რამდენჯერმე, კილომეტრების დაშორებით, სხვადასხვა ქალაქში უწევდათ გადაადგილება, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან, დროსა და ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

დღეს ქვეყნის 49 მუნიციპალურ ერთეულში დიალიზის ცენტრები, ყოველდღიურად, 2600 პაციენტს ემსახურება. პროგრამის გაფართოება ჯანდაცვის სამინისტრომ, 2022 წლის აპრილში გამოაცხადა, რის შემდეგაც მომსახურება, ამავე წელს, ეტაპობრივად, ამოქმედდა მესტიაში, ამბროლაურში, ლანჩხუთში, ყაზბეგსა და თიანეთში.

გამოიცა ფოტოალბომი „ვაჟასეული ადგილები"

მიმდინარე წლის იანვარში დუშეთის მერიის დაფინანსებით ტენდერში გამარჯვებულმა „ფავორიტი სტილმა" გამოსცა „ვაჟასეული ადგილების" ფოტოალბომი. პროექტისა და ფოტოების ავტორი - ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის" დირექტორი ბაბუა ალუდაური.

„დუშეთისა" და გოდერძი ჩოხელის („აქედან კარგად ჩანს საქართველო") შემდეგ ავტორის მიერ გამოცემული ეს მესამე ალბომია, სადაც დაბეჭდილია ვაჟას ცხოვრება-შემოქმედებასთან დაკავშირებული მდიდარი ფოტომასალა.

ფოტოალბომის გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ მისი მომზადებისთვის დიდი შრომა გაუწევია ავტორს. გვხვდება ვაჟასთან დაკავშირებული დღემდე ნაკლებად ცნობილი დეტალებიც.

ვაჟას შემოქმედება ქისტური თემატიკის გარეშე („სტუმარ-მასპინძელი", „ალუდა ქეთელაური") წარმოუდგენელია და რადგან დღესდღეობით ჩვენს ჩრდილოკავკასიელ მეზობლებთან მიმოსვლა პრობლემებთან არის დაკავშირებული, ამაზეც უზრუნია ავტორს.

ვაჟას სტრიქონების შესაბამისი ქისტური პეიზაჟების ოთხი ფოტო ალბომში შესატანად ბაბუა ალუდაურისთვის საჩუქრად გადაუცია მის მეგობარ თემურ აგიროვს (ინგუშეთი) და აბდულა ბერსაევს (ჩეჩნეთი).



სასკოლო-სპორტული ოლიმპიადის რეგიონული ტურნირი ფრენბურთში

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის, ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებისა" და საქართველოს ბავშვთა და სასკოლო-სპორტის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით, ქ. დუშეთში ჩატარდა სასკოლო-სპორტული ოლიმპიადის რეგიონული ტურნირი ფრენბურთში.

ტურნირში მონაწილეობა მიიღეს დუშეთის, მცხეთისა და თიანეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა. საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა ვაჟებს შორის:

პირველი ადგილი - სსიპ სოფ. საკრამულის საჯარო სკოლა;

მეორე ადგილი - სსიპ სოფ. მუხრანის საჯარო სკოლა;

მესამე ადგილი - სსიპ სოფ. ტუშურების საჯარო სკოლა;

გოგონებს შორის:

პირველი ადგილი - სსიპ სოფ. ზარიძეების საჯარო სკოლა;

მეორე ადგილი - სსიპ სოფ. მუხრანის საჯარო სკოლა;

ყველა მონაწილეს გადაეცა დიპლომები და მედლები.

აღსანიშნავია, რომ გამარჯვებული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ აღმოსავლეთ საქართველოს ზონალურ ტურნირში.

საინფორმაციო ბიულეტენი „დუშეთის მაცნე"

ინტერნეტითაც ხელმისაწვდომია

მკითხველს საშუალება ეძლევა, ელექტრონულ ვერსიას გაეცნოს Facebook-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გვერდზე.

ქართული ენის დასაცავად...

✓**ერთად იწერება:**

დროდადრო,
თანდათან,
გზადაგზა,
ხანდახან,
დღედაღამ,
კვალდაკვალ,
ფეხდაფეხ,
წინდაწინ,
პირდაპირ,
მაინცდამაინც,
მეტისმეტად,
ზემოაღნიშნული.

✓**ცალ-ცალკე იწერება:**

ბოლოს და ბოლოს,
რა თქმა უნდა,
ერთი და იგივე,
მხოლოდ და მხოლოდ,
უფრო და უფრო,
ზემოთ აღნიშნული.

✓**დეფისით იწერება:**

ნაბიჯ-ნაბიჯ,
ნელ-ნელა,
ნაპირ-ნაპირ,
ჯგუფ-ჯგუფად.

კულტურის კერა...

სოფელ ყვავილის დანიელ ჭონქაძის სახლ-მუზეუმის ისტორია

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვავილის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს ცნობილი ქართველი მწერლისა და პედაგოგის - დანიელ ჭონქაძის (1830-1860) მემორიალური სახლ-მუზეუმი, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

სახლ-მუზეუმი ორსართულიან შენობაშია განთავსებული. იგი ძირითადად მოიცავს XIX საუკუნის ქართლური ტიპის დარბაზსა და ზედა საგამოფენო სივრცეს, რომელიც დაშენებულია მე-20 საუკუნის ბოლოს.

აღსანიშნავია, რომ ისტორიულად ეს კერა ეკუთვნით მწერლის წინაპრებს.

სოფელი ყვავილი ოფიციალურ ისტორიულ წყაროებში ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში მოიხსენიება, ხოლო დ. ჭონქაძის წინაპრები და მამა-ბიძები: მღვდელი ვასილი, მღვდელი შიო (+1808), მღვდელი მიტროფანე (+1825), მღვდელი გიორგი (+1846) მოხსენიებულნი არიან მეფე ერეკლე მეორის ძეების - ბატონიშვილების წყალობათა სიგელებში, როგორც სამეფო კართან დაახლოებული და განსაკუთრებული დამსახურების მქონე სასულიერო პირები.

სწორედ აქ დაიბადა დანიელ ჭონქაძე 1830 წლის 18 მარტს. მშობლიური სახლით იგი სიცოცხლის ბოლომდე სარგებლობდა. მწერლის შემდეგ სახლში მისი ერთადერთი მემკვიდრე, დუშეთის მაზრის ბოქაული და მაზრის უფროსის თანაშემწე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი - გიორგი ჭონქაძე (1855–1915) ცხოვრობს მეუღლესთან, მარიამ ფომინასთან ერთად. მათ შვილი აღარ შესძენიათ. მწერლის რძალი - მარიამ ფომინა კი 1935 წელს გარდაიცვალა. ამის შემდეგ იქ მცირე ხნით კიდევ ცხოვრობს ოჯახის მოსამსახურე რუსი ქალი, სახელად მაშა. აქედან მოყოლებული, ათწლეულების განმავლობაში სახლში ფუნქციონირებდა სკოლა და სასოფლო საბჭო.

შენობამ ბევრჯერ განიცადა ცვლილება. რეკონსტრუქციამ რამდენადმე შეცვალა მისი იერ-სახე. განსაკუთრებით მეორე სართული გადაკეთდა არაერთხელ. მეტ-ნაკლებად, პირვანდელი სახით შემორჩა ქვედა სივრცე, ე.წ. „ჭონქაძეების დარბაზი“.

მას შემდეგ, რაც სოფელში ცალკე შენობები აშენდა სკოლისა და სასოფლო საბჭოსათვის, შესაძლებელი გახდა, აქ გახსნილიყო მწერლის მუზეუმი.

1987 წლის 21 აპრილის N102 გადაწყვეტილებით დუშეთის მაშინდელმა რაიაღმასკომმა განიზრახა სახლ-მუზეუმის გახსნა და საამისოდ მწერლისეული სახლის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყება. თითქმის ორი წლის შემდეგ, 1989 წლის 30 მარტს, იმავე რაიაღმასკომის N135 გადაწყვეტილებით ფუნქციონირება დაიწყო დანიელ ჭონქაძის მემორიალურმა სახლ-მუზეუმმა. კეთილმოეწყო ეზო, შენობის წინ დაიდგა მწერლის ბიუსტი, რომელიც მანამდე ქ. დუშეთის მოედანზე იდგა.

ამავე პერიოდში მუზეუმი შეივსო მრავალი ექსპონატით, მათ შორის - ხეზე კვეთის ნიმუშებით, ფერწერული ნამუშევრებით, მემორიალური ნივთებით. ახლად გახსნილ სახლ-მუზეუმს ექსპონატები ფოტომასალა განსაკუთრებით უხვად გადმოეცა გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმიდან, აგრეთვე - მაშინდელი დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, სახლ-მუზეუმს, ფაქტობრივად, არასოდეს ჩასტარებია კაპიტალური რემონტი. ერთი მხრივ, წლების განმავლობაში სახურავიდან წყლის ჩასვლამ, ფანჯრების ჩამსხვრევამ, ხოლო, მეორე მხრივ, დაფინანსების სიმწირემ საფუძვლიანად დააზიანა შენობა. დაზიანდა ბიუსტიც.

2007 წლიდან სახლ-მუზეუმი დაექვემდებარა ააიპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს“, როგორც ფილიალი.

2018 წლის 11 მაისს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის N 02/23 ბრძანებით დანიელ ჭონქაძის მემორიალურ სახლ-მუზეუმს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

სადღეისოდ სახლ-მუზეუმი საჭიროებს რეაბილიტაციას, რათა იგი იქცეს იმგვარ კეთილმოწყობილ კერად, სადაც მნახველები და დამთვალიერებლები შეძლებენ საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებას.

ფოტოებზე – სახლ-მუზეუმი გასულ საუკუნეში და დღეს...

ჩვენი წარსულის ფურცლებიდან...



ესაა დიმიტრი ერმაკოვის ცნობილი ფოტო - ქ. დუშეთის წმ. ნიკოლოზის ტაძარი, რომელიც კომუნისტებმა დაანგრიეს 1930-იან წლებში.

გიორგი მოზდოკელის ცნობით, ტაძარი მე-19 საუკუნეში აუგიათ. მისი მშენებლობის ინიციატორი და ხელშემწყობი ყოფილა დუშეთის მაშინდელი კომისარი ზურაბ მორთულაძე, რომელიც თავად ვეღარ მოსწრებია ეკლესიის აშენებას, თუმცა მის სიახლოვეს დაუკრძალავთ...

დაახლოებით ამ ოციოდე წლის წინ ქ. დუშეთში კვლავ აშენდა საკათედრო ტაძარი, რომელიც წმ. ნიკოლოზის სახელზე ეკურთხა...

კევრში შებმული დედა-შვილი („სურამის ციხის“ მიხედვით)
კვეთა ხეზე. ბიძინა ჯანუყაშვილის ნამუშევარი.
დაცულია სოფ. ყვავილის დანიელ ჭონქაძის სახლ-მუზეუმში.

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N4

2024 წლის 23 თებერვალი

ქ. დუშეთი

ვებგვერდი
26/02/2024
სარეგისტრაციო კოდი
200140130.35.152.016513

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის, „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების და „ ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში – მიწის ნორმატიული ფასი) 1 (ერთი) კვ.მ მიწის ფართობისათვის გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით

Cn=Img* Itl* C*K, სადაც:

ა) Cn არის ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) Img არის შესაბამისი დასახელების მაკრომდებარეობის ინდექსი, რომლის სიდიდე ქ. დუშეთისათვის უდრის 0,35;

გ) Itl არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომლის განსაზღვრა ხდება შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მიერ;

დ) C არის საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა 0,24 ლარის ტოლია;

ე) K არის შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მიერ დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი, რომლის მინიმალური ოდენობა უდრის 20-ს.

მუხლი 2

1. ქ. დუშეთის ზონირება არ განხორციელდეს და ქალაქის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი მიწის ნორმატიული ფასის დადგენის მიზნით განისაზღვროს ერთი მთელით (Itl=1,0).

2. ქ. დუშეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტის რიცხვითი მნიშვნელობა განისაზღვროს 500-ით (K= 500). შესაბამისად, 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასის სიდიდე ლარებში შეადგენს 42 (ორმოცდაორ) ლარს.

3. დ. ჟინვალში და დ. ფასანაურში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. დუშეთისათვის დადგენილი ფასის 50 %-ის ოდენობით, რაც ლარებში 1 კვადრატულ მეტრზე შეადგენს 21 (ოცდაერთ) ლარს.

4. დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. დუშეთისათვის დადგენილი ფასის 30 %-ის ოდენობით, რაც ლარებში 1 კვადრატულ მეტრზე შეადგენს 12.6 (თორმეტი მთელი ექვს) ლარს.

5. დუშეთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. დუშეთისათვის დადგენილი ფასის 25 %-ის ოდენობით, რაც ლარებში 1 კვადრატულ მეტრზე შეადგენს 10.5 (ათი მთელ ხუთ) ლარს.

6. დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დასახლებათა შორის არეალში გამავალი ,, საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. დუშეთისათვის დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50 %-ით, რაც ლარებში 1 კვადრატულ მეტრზე შეადგენს 21 (ოცდაერთ) ლარს. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ გამოიყენება წინამდებარე დადგენილების მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი ფასები.

7. დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ,,საქართველოს კურორტების, საკურორტო ადგილების, სამთო-სათხილამურო ცენტრებისა და შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიებისათვის სარეკრეაციო ტერიტორიის სტატუსის მინიჭებისა და მათი საზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 დეკემბრის N496 დადგენილებით განსაზღვრული სარეკრეაციო ტერიტორიებისათვის მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. დუშეთისათვის დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის ორმაგი ოდენობით, რაც ლარებში 1 კვადრატულ მეტრზე შეადგენს 84 (ოთხმოცდაოთხ) ლარს. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ გამოიყენება წინამდებარე დადგენილების მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი ფასები.

მუხლი 3.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის N10 დადგენილება (matsne.gov.ge, 05/04/2023, ს/კ **200140130.35.152.016485**) .

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ***კახაბერ ჩიტაური***

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N6

2024 წლის 23 თებერვალი

ქ. დუშეთი

ვებგვერდი
26/02/2024
სარეგისტრაციო კოდი
010250050.35.152.016515

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის და კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობის განსაზღვრისა და მისი ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის და კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობის განსაზღვრისა და მისი ანაზღაურების წესი, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ***კახაბერ ჩიტაური***

დანართი 1

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის და კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობის განსაზღვრისა და მისი ანაზღაურების წესი

მუხლი 1

ეს წესი არეგულირებს დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის და კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობის განსაზღვრისა და ანაზღაურების წესს.

მუხლი 2

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის და კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხა დაფინანსდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებისათვის“ გათვალისწინებული ასიგნებიდან.

მუხლი 3

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის და კვების სადღეღამისო ხარჯების დღიური ნორმის უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხა ანაზღაურდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის.

მუხლი 4

სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთა (სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების) კვების სადღეღამისო ხარჯების დღიური ნორმის უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობა შეადგენს არაუმეტეს 30 (ოცდაათი) ლარს.

მუხლი 5

სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთა (სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების) მგზავრობის ხარჯები ანაზღაურდება საზოგადოებრივი ტრანსპორტით განსაზღვრული მგზავრობის ღირებულების ან სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

მუხლი 6

სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთათვის (სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების) საცხოვრებელი ფართის ქირავნობის თანხა ანაზღაურდეს სასტუმრო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

მუხლი 7

სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის შესაბამისი დაფინანსების უზრუნველსაყოფად სავალდებულოა შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა, შეჯიბრებაზე მოწვევა ან/და შეჯიბრების დებულება, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული, სპორტული ღონისძიების ხარჯთაღრიცხვა და მონაწილეთა სია.

მუხლი 8

სპორტულ ღონისძიებებში (სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების) მგზავრობის, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის და კვების სადღეღამისო ხარჯების დღიური ნორმის უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხებზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბუღალტერიაში წარადგინოს ხარჯვის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტაცია წინასწარ ან სპორტული ღონისძიების დასრულებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

მუხლი 9

სპორტული ღონისძიების მონაწილეთა ხარჯების ანაზღაურება განხორციელდეს წინასწარ ან სპორტული ღონისძიების დამთავრების შემდეგ. წინამდებარე წესით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენის შესაბამისად.

საგაზაფხულო ფიქრები

გაზაფხულზე ბებერი, ვინ იცის, რა დროისა, როდინდელი ბუნება, ახალგაზრდავდება. სიჯეიილე მარტო ტანისამოსზე არ ეტყობა. ათასნაირად აჭრელებული, აფერადებული სამოსელი დედამიწისა არაა მხოლოდ ნიშანი ბუნების ჯეილობისა. მზეც გაჯეილდა: სითბო და სინათლე მოიმატა – გამხნევდა, გაგულუხვდა, გათამამდა; ყველა ეს ნიშანია ახალგაზრდობისა – მზე არ ჰზოგავს თავის ძალ-ღონეს და ცდილობს – რაც შეიძლება მეტად გაათბოს დედამიწა და ყოველი მასზედ არსი – სულიერი და უსულო, რათა უფრო ძლიერად აამუშაოს მასში სიცოცხლის ცხოველმყოფელი ძალა; იმედი აქვს, მის მიერ დახარჯული ძალა ტყუილად არ ჩაივლის. დედამიწა, როგორც აშიმშილებული და ამ სიმშილისაგან ატირებული ყრმა, ხარბად სჭიდებს პირსა და ხელებს დედის ძუძუს, სწოვს სითბოს, – იმ რძეს, რითაც ჩვილი სიამოვნობს, სიყმილს იკლავს, იზრდება, ვაჟკაცდება. დიაღ, დედამიწა სწოვს მზეს სითბოს, მაცოცხლებელს ძალას, რათა შემდეგში ამ შენაძენით ასაზრდოვოს მცენარენი, ცხოველნი, დაამშვენოს, ააყვავოს, აავსოს ნაყოფით ბუნების გულ-მკერდი, უბე-კალთა. განა მარტო სითბო კმარა მისთვის, მცენარეთა და ცხოველთა ასაღორძინებლად? არა. როგორც სითბოა საჭირო, აგრედვე ნამი ცისა, შავის ღრუბლების ცრემლი, ხან მშვიდობიანად რომ დააფრქვევენ დედამიწას და ხან კი ჭექა-ქუხილით მოუვლენენ თავიანთ მოწყალებას, თითქოს ჰსურთ გააგებინონ ყველას: აბა გვიყურეთ, რა სიკეთესა ვსჩადითო! ვინ იცის, იქნება მძინარა დედამიწას ეძახიან: ადე, გაიღვიძე, გიგზავნით მოწყალებას და, როგორც საჭიროდ დაინახო, ისე მოიხმარეო. ორივე შესაძლებელია, ხოლო ის უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭექა-ქუხილი ახალგაზდობის, სიჯეილის ნიშანია.

რით იპყრობს გაზაფხული ჩვენს ყურადღებას? ნუთუ მარტო ბუნების ამწვანება-აყვავებით, კეთილ სუნნელების მოფენით? ეს მხოლოდ გარეგანი, თვალისა და ყურის წარმტაცი თვისებაა მისი, შინაგანი მოქმედება და აზრი სულ სხვაა, – იმას თუ კარგად არ ჩაუკვირდით, ვერც კი შევამჩნევთ. ეს დაფარული აზრი გაზაფხულისა მხოლოდ და მხოლოდ გაგრძობაა სიცოცხლისა. მიზანი მისი ალბად დიდებულია, თორემ ასე დიდებულად, ასე საამოდ, სულისა და გულის დამატყვევებელ სურათებში არ იქნებოდა გახვეული!.. ლამაზი, მიმზიდველი არაფერია სხვა, თვინიერ სიცოცხლისა; ტურფა, მშვენიერი, ბუნების ამოდენა გარდაქმნა-ცვალებადობაში, არა რა არს გარეშე გაზაფხულისა.

მაშ, ვიწამოთ სიცოცხლისა და გაზაფხულის ერთგვარობა, ერთბუნებოვანობა: უსიცოცხლოდ გაზაფხულს ვერ ვიგრძნობთ ისე, როგორც უგაზაფხულოდ სიცოცხლეს.

გაზაფხული მქმნელი, მშობელია სიცოცხლისა: გაზაფხულზე ყოველი ძალა ბუნებისა, ყოველი არსი, თვით ისეთიც კი, რასაც ადამიანი, თუ არ შეიარაღებულის თვალით, ვერ დაინახავს, მიმართული, მიდრეკილია სიცოცხლის შესაქმნელად.

სიცოცხლე მინდვრად, სიცოცხლე ტყეში, სიცოცხლე ზღვაში, წყალში, სიცოცხლე ცაში, სად გაიხედავ, არ დაინახო შთამომავლობაზე ზრუნვა. ყველგან ვხედავთ შთამოებას. ფუტკარი რა სათქმელია, ჭიანჭველასაც კი აუფუებია თავის ციხე-დარბაზი მემკვიდრეთა სიუხვით. ტრედს ნუ იტყვი, ჭივჭავსაც კი გამოუჩეკია ოთხი თუ ხუთი ბარტყი, – შეუმატნია სიცოცხლისათვის სარდოდ ოთხი თუ ხუთი არსება... ეს სულ გაზაფხულის ბრალი, მისი ოინია.

წადი, დახედე მინდვრად ჭირნახულს, გადაიხედე ვენახებში. დააცქერდი ყოველ მცენარეს ტყე-ველზე, მთასა და ბარსა. რა ამბავი ხდება? შექმნა სარდოსი ცხოველთათვის. მაშასადამე გაზაფხული მარტო ცხოველებს კი არ ამრავლებს, ამ ცხოველებს სასიცოცხლო მასალასაც უმზადებს, აძლევს, აწვდის ხელგაშლილი.

იმიტომ არის გაზაფხული ლამაზი, და ლამაზი რომ არ იყოს, ამოდენა მადლს, სიკეთეს, ხომ არ დასტოვებდა დედამიწაზე, არც ასე გულიანად, თავგამოდებით აგალობებდა ბულბულს.

ისე არადროს არ დამშვენებულა, არ აბიბინებულა ველ-მინდორი, როგორც გაზაფხულზე. ისე არადროს არა ხარობს და მწვანობს ტყე, როგორც გაზაფხულზე. ისე არადროს არა მხიარულობენ საერთოდ ცხოველნი, ფრინველნი, როგორც ამ დროს. ამავე დროს აუშლია ფაფარი პატარა მდინარეს, მიუღია მრისხანე სახე, აღარ ეტევა კალაპოტში, გადუხეთქია აქეთ-იქით ნაპირები და მოსდებია ჭალა-მინდვრებს.

ყველა და ყველაფერი, სადაც კი თვალი და ყური მიუწვდება ადამიანს, გელაპარაკება შემდეგს: მე ცოცხალი ვარ, ცოცხალი და მინდა კვალად ვიცოცხლო; სიცოცხლე ჩემი უნდა იყოს დაუსრულებელიო.

ეს დრო ბუნების უაღრესი ბედნიერების დროა. ვფიქრობ ბუნება, როგორც გაზაფხულზე, ისე არა დროს არა ჰგრძნობს თავს ბედნიერად.

ნუთუ ადამიანის სულს კი არა აქვს თავისი გაზაფხული? ადამიანიც არის და ადამიანიც; კაციც არის და კაციც, ყველა ერთნაირ გონებრივ სიმაღლეზე არა სდგას, ყველა ერთნაირად არ არის განვითარებული, ყველა ერთნაირის თვალით არ უცქერის ცხოვრების ავ-კარგს. ყველას ერთნაირად არ აჯავრებს საზარალო. არ ახარებს სასარგებლო. როცა ადამიანის სულის გაზაფხულზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, მაშინ ვერ დავივიწყებთ სიცოცხლეს, ვინაიდგან გაზაფხული იგივე სიცოცხლეა, და, როცა ადამიანის სულს გაზაფხული უდგება, უეჭველია მაშინ იგი უნდა ცხოველმყოფელი, სიცოცხლის მქნელი იყოს. როდის არის ადამიანის სული ასეთი? იქნებ მაშინ, როცა ადამიანი ოთხკედელ შუაა შემწყვდეული, ხელ-ფეხზე ხუნდები აქვს? შეიძლება განა ამისთანა ადამიანის სულმა გაზაფხულის სიამოვნება იგრძნოს? – ამ სიამოვნებას [იგრძნობს], თუ თვით დატყვევებულს შეგნებული, შესისხლხორცებული აქვს ის რწმენა, ის აზრი, რისთვისაც მას დაადვეს [ხუნდები ფეხებზე და ხელებზე], როცა მან იცის, სიმართლისათვის ვიტანჯვიო, მაგრამ ამგვარი გაზაფხული სულისა მხოლოდ სხვისთვის იქნება მაგალითის მიმცემი, სხვას, ვისაც ხელ-ფეხი თავისუფალი აქვს, გაჰხდის სიცოცხლის მოზიარედ.

მაღალი, ქვეყნის მოყვარე სული შეიძლება მხოლოდ იქმნეს სიცოცხლის მქნელად და სრულის სიმშვენიერით მოგვევლინოს, მხოლოდ თუ თავისუფალია იგი. ადამიანი თუ არა ჰგრძნობს თავს ბედნიერად, ვერც სულის გაზაფხულობას განიცდის, და იგი, ვინც სიყვარულს არის მოკლებული, ვერა დროს ვერ ეღირსება გაზაფხულს სულისას. უპირველეს ყოვლისა სული უნდა ჰგრძნობდეს ბედნიერებას, იგი, როგორც გაზაფხულზე ბუნება, უნდა ჰყვაოდეს, უნდა მწვანობდეს, უნდა იყოს ცხოველმყოფელი, მქნელი სიცოცხლისა, ცოცხალ არსებათა მომცემი თუ აღმომცენებელი, მაშასადამე ახალგაზდა და ამასთან ერთად უსათუოდ თავისუფალი, როგორც გაზაფხულზე ბუნება. ხომ ჰხედავთ გაზაფხულზე ბუნებას, როგორ თავისუფლად იწყებს მუშაობას. ამოჰხეთქს მიწიდან აუარებელი მცენარე – ბალახი, ყვავილი, სძოვს მას ცხვარი და ძროხა, მაგრამ მაინც მოდის ყოველ ჟამს, ყოველ წუთს, იწურება ხეები ფოთლებით, მოდის შხაპუნა თუ ჟუჟუნა წვიმა და ვერავის ძალუძს მისი შეჩერება. ათბობს მზე მცენარეთ, ცხოველთ და ვის შეუძლიან შეასუსტოს მის მიერ გამოგზავნილი სხივების სიძლიერე? ყოველი მოვლენა, ყოველი ძალი ბუნებისა ცალ-ცალკე და ერთად, ცდილობს მიეშველოს სიცოცხლეს, სრულყოფენ სიცოცხლე. ასეთივეა სული ადამიანისა, როცა მას დაუდგება გაზაფხული. იგი ყოველ თავის ძალღონეს მიჰმართავს ერის სასიცოცხლოდ, ცხოვრების ბედნიერება-სიცოცხლისთვის, რათა არსებობა თავისი ჰქმნას რაც შეიძლება ნაყოფიერი, ჰფიქრობდეს თავისუფლად, აკეთებდეს იმას, რაც გულით სწადიან, ხოლო წადილი მისი, უკვე ვიცით, როგორიც უნდა იყოს, – საითკენ მიმართული. იგი უნდა იყოს მუდამ დაუცხრომლად მოქმედი, როგორც თვით გაზაფხულია. ამიტომ ყოველი საქვეყნო მოღვაწე, ყოველი ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანი ყოფილა და არის გაზაფხულის მსგავსის სულისა. მხოლოდ მათ განუცდიათ გაზაფხული სულისა. პატარა, ვიწრო გრძნობისა და ტვინის ადამიანი, თუ იგი მდიდარია, თავს ბედნიერად ჰრაცხს, რადგან ყოველგვარ მოთხოვნილებას ცხოველურს, ფიზიკურს იკმაყოფილებს; შეიძლება ფიქრობდეს, მე განვიცდი გაზაფხულს სულისასო, მაგრამ დიდად მოტყუებული იქნება, რადგან ამგვარი ადამიანი მხოლოდ გამანადგურებელია იმისა, რაც გაზაფხულის შემოქმედების წყალობით მიგვიღია ადამიანებს, იგი სიცოცხლეს, როგორც მთელს, არაფერს ჰმატებს, მხოლოდ დაკლებით აკლებს. იგი განიცდის ისეთსავე გაზაფხულს სულისას, როგორც ყოველი ცხოველი, როცა იგი მაძღარია და მსუქანი. შეიძლება განა ძალიან მსუქანი ღორიც, ტალახში გდებით რომ ანელებს მხურვალებას თავის ლეშისას, რათა განცხრომა იგრძნოს, ვიცნათ ვითომც მას ეგრძნოს გაზაფხული სულისა; ადამიანთა უმრავლესობაც განიცდის ასეთსავე დიადობას, როგორც ღორი, მაგრამ ნუთუ საზღვარი აღარ უნდა იყოს სულით გაზაფხულისა და კუჭით გაზაფხულის მფლობელთა შორის? მე, რამდენადაც შემეძლო, დავახასიათე მოკლედ გაზაფხული თვითვეული ადამიანის სულისა, სხვა თქვენ გთხოვთ წარმოადგინოთ, თუ როგორი უნდა იყოს გაზაფხული ერის სულისა...

უწყიდეთ მხოლოდ, ეს იქნება მსგავსი ბუნების გაზაფხულისა, მისი განსახიერება და გამომხატველი მთა და ბარის, ცისა და დედამიწისა.

გაზაფხული ერის სულისა უმშვენიერესს სურათს დაგვიყენებდა ერის სულისას.

ვაჟა-ფშაველა
1915 წ.



ძვირფასო მკითხველო,

ჩვიდმეტი წელია, **„დუშეთის მაცნე“** გამოიცემა. ამ ხნის მანძილზე უამრავი რამ მოხდა ჩვენს ცხოვრებაში, ერთად გვიხაროდა და გვტკიოდა დუშეთის ცხოვრების სიახლეები, პრობლემები, ყველაფერი, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება აკეთებდა და აკეთებს... და ეს საინფორმაციო ბიულეტენიც ხომ იმისათვის არსებობს, რომ თქვენი სათქმელი ხელისუფლებამდე მიიტანოს და, პირიქით, მათი გადაწყვეტილებები და ნაფიქრი გაგიზიაროთ.

სურვილი გვაქვს, კვლავაც ერთად ვიაროთ, გავუზიაროთ ერთმანეთს ტკივილიც და სიხარულიც. ამიტომაც გთხოვთ, მოგვწეროთ, გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება თქვენ მიერვე არჩეული ხელისუფლების მუშაობისადმი, იმ პროექტების მიმართ, რომელიც ბოლო პერიოდში ხორციელდება დუშეთში. შევეცდებით, კვლავაც აქტიურად გავაშუქოთ ის საკითხები, რომლებიც გაინტერესებთ. რედაქცია ელის თქვენს წერილებსა და გამოხმაურებას.

რედაქცია

ქ. დუშეთის ხედი. სავარაუდოდ, გასული საუკუნის 50-იანი წლები...

„ნარჩენების მართვა დუშეთის მუნიციპალიტეტში"

გაზაფხული მოდის...

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდის ინფორმაციით, პროექტის - „ნარჩენების მართვა დუშეთის მუნიციპალიტეტში" ფარგლებში, ჩატარებული კვლევის შედეგებისა და შედგენილი პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული რეკომენდაციების პრეზენტაცია გაიმართა.

შეხვედრაზე, რომელსაც დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვასილ წიკლაური და მერიის თანამშრომლები ესწრებოდნენ, მხარეებმა განიხილეს ფოკუსჯგუფების მოსაზრებები და შემუშავებული იდეები.

პროექტს ა(ა)იპ „ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება" 2023 წლის 20 აპრილიდან 2023 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით ახორციელებდა. იგი ითვალისწინებდა დუშეთის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის შესრულების ხუთწლიანი გეგმის მონიტორინგსა და შედეგების ანალიზს, გამოვლენილი პრობლემატური საკითხების ადვოკატირებასა და დუშეთის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის კვლევას.

პროექტი ხორციელდებოდა ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) - პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისათვის" ფარგლებში, ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, როგორიცაა: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

რედაქტორი
მიხეილ ჭონქაძე
✉ მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ.№27
(ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული).
გაზეთი დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი სტილში"

დუშეთის მაცნე

გამოდის 2007 წლის მარტიდან
დაბეჭდილ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი, ან _ მითითებული ორგანიზაცია